



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 4923223001

თარიღი:11/08/2023

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ნაზი ბენიძისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერებისა და პროფესიული განვითარებისათვის სასწავლო ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 50--ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „63-ე მუხლის მეორე პუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელის მიერ პროფესიული განვითარებისათვის შვებულებით სარგებლობის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 23 მაისის N246 დადგენილებით დამტკიცებული წესის მეორე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის, „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **ნაზი ბენიძეს** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შეუჩერდეს სამსახურებრივი უფლებამოსილება და პროფესიული განვითარებისათვის, სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობით მიეცეს, ანაზღაურებადი შვებულება 2023 წლის 15 აგვისტოდან 2023 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით.

2. არმყოფი მოხელის მოვალეობის შესრულება, დროებით დაეკისროს საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტს **ნათია მელაძეს**.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საშვებულებო თანხისა და ნათია მელაძისათვის დამატებითი ფუნქციის შესრულებისათვის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში სახელფასო დანამატის გაცემა.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

